გლდანისხევის და ხევძმარის განიერ ოვალისებრ წყალგამყოფზე, რომლის ზედაპირი სუსტად დამრეცად 2-3, ზოგან 4-5°-ით სუბმერიდიანულად დახრილია სამხრეთისკენ, მდ. მტკვრისკენ. აბსოლუტური ნიშნულები 490-495 მ-ის ფარგლებშია. მთლიანობაში სკოლების ტერიტორია ოდნავ სახეცვლილი – მოსწორებული და მოშანდაკებული ტექნოგენური ზედაპირია, რომელიც გამოირჩევა გეოდინამიკური მდგრადობის მაღალი ხარისხით, განპირობებული როგორც რელიეფური ასევე გრუნტული პირობების კარგი მაჩვენებლებით.

საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში, მის მომიჯნავედაც, მათი შესწავლის საფუძველზე თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების გამოვლენა, მათ მიერ დატოვებული ან საგრძნობლად შეცვლილი რელიეფის ფორმები არ დაფიქსირდა და არც მომავალშია მათი ჩასახვა-განვითარების წინაპირობა. ტერიტორია დღეისათვის გამოირჩევა მდგრადობის საკმაოდ კარგი ხარისხით, განპირობებული როგორც რელიეფური ასევე მისი შემადგენელი გრუნტების ფიზიკური თვისებებით, რომელიც უდავოდ დიდი პოზიტივია სამშენებლო თვალსაზრისით.

I.6 გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

ტექტონიკური თვალსაზრისით გამოკვლეული ტერიტორია შედის მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემაში, კერძოდ მასში შემავალი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთი ქვეზონის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მთლიანად ნაოჭა სისტემა განიცდის დაძირვას. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება საქართველოს ბელტის აღმოსავლეთი დაძირვის ზონა, ხოლო სამხრეთიდან ართვინ-ბოლნისის ბელტის ნაწილი.

გეოლოგიური აგებულება. გამოკვლეული უბანი გეოლოგიურად განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთი დაძირვის ზონაში და ხასიათდება პალეოგენური და ნეოგენური ფლიშური-დანალექი და ვულკანოგენური ნალექების განვითარებით.

საპროექტო მოედანზე 5.0 მ სიღრმემდე გაყვანილი 2 შურფის მონაცემთა თანახმად ასაკობრივად ყველაზე ძველი ნალექები წარმოდგენილია ქვედა მიოცენური (N_1^1cz) ფლიშური-დანალექი ქანებით – შრეებრივი ქვიშაქვებით, რომელიც მთლიანობაში წარმოადგენს მოყავისფრო შრეებრივ კლდოვან ქანს. მათი ზედა – 0.6-0.9 მ - ნაწილი (ფენა №2) უფრო მეტად გამოფიტულია სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შედეგად. გამოფიტვის ხარისხი შესამჩნევად დაბალია; ქვემოთკენ ჭრილში, რომელიც ძირითადად ქვიშაქვების „მაბრონირებელი“ ფაქტორითაა განპირობებული, რადგან მათი სიმკვრივე,

სიმტკიცე, გრუნტის წყლის შეფარდებითი შეუღწევადობა ხელს არ უწყობს გამოფიტვის პროცესს.

მათ (გამოფიტულ ძირითად კლდოვან ქანებს) ქვემოდან ესაზღვრება ამავე ქანების სუსტად გამოფიტული ნაწილი (ფენა №3), რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ამ ქანებისათვის დამახასიათებელი ყველა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებელი. ისინი განლაგებულია ზედაპირიდან 2.4-2.5 მ სიღრმიდან. ხილული სიმძლავრით 2.5-2.6 მ, ხოლო რეალურად გაცილებით მეტით. მათი დაქანების აზიმუტი ჩა 20, ვარდნის კუთხე 35 გრადუსი.

ამ ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ქანს ზემოდან ადევს ტექნოგენური გრუნტების (tQ_{IV}) ფენა სიმძლავრით 1.5-1.9 მეტრი.

გეოლოგიური რუკა

(ამონარიდი დ. პაპავას, ე. დევდარიანის და ვ. აგეევის მიერ 1971 წელს შედგენილი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთი ნაწილის 1:25000 მასშტაბის გეოლოგიური რუკიდან)



პირობითი აღნიშვნები

pdQ_{III} - ზედა მეოთხეული პროლუვიურ-დელუვიური ნალექები.

N_1^1cz - ნეოგენური, ქვედა მიოცენი; კოწახური – მუქი, თხელშრეებრივი თიხები, ქვიშაქვები.

- საპროექტო ობიექტი

ჰიდროგეოლოგიური პირობები. საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით გამოკვლეული ტერიტორია შედის თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში, სადაც გავრცელებულია როგორც ღრმა, ასევე არაღრმა ცირკულაციის წყლები. აქედან არაღრმა ცირკულაციის

წყლებს მიეკუთვნება ე.წ. გრუნტის წყლებს, ხოლო ღრმა ცირკულაციის წყლებს – თერმულ წყლებს.

აქ გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება უპირველესად საგურამოს ქედის სამხრეთ-დასავლეთი ფერდობის და მტკვრის ხეობის გეომორფოლოგიით, გეოლოგიური აგებულებით და ფიზიკო-გეოგრაფიული პირობებით.

სუსტი წყალშემცველებია ტერიტორიაზე გავრცელებული ქვედა მიოცენური ნალექები. მათთვის დამახასიათებელია სუსტი და დროებითი მიწისქვეშა წყლების ნაკადების სპორადული გავრცელება, რომელთა მიმართულებები ბევრგან და არა ყველგან ემთხვევა ქანების დაშრევებას. გამოკვლევის დროს მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი გამოსავალები ტერიტორიის ფარგლებში არ დაფიქსირებულა. დაღმავალი წყაროების იშვიათი გამოსავალები და გამონაჟონები აღინიშნება ჰიფსომეტრიულად გაცილებით დაბლა, ფერდობების ძირებში და ხევების ჩადაბლებებში.

მიწისქვეშა წყლების კვება ძირითადად ხორციელდება ატმოსფერული ნალექების ან ფერდის ზედა ნაწილებიდან მომდინარე სუსტი და სეზონური ნაკადების ინფილტრაციით, ხოლო განტვირთვა - ფერდობების ძირების გასწვრივ წყალსადინარების კალაპოტებში.

გრუნტების სუსტი წყალშემცველობა უპირველესად განპირობებულია ნალექების მცირე რაოდენობით, ფერდობების ყოველმხრივი და სწრაფი დრენირებით და მათი ლითოლოგიური შემადგენლობის თავისებურებებით (საფონდო მონაცემებით ნაჟური ფერდული წყლები 10-12 მეტრზე და უფრო ღრმად არიან განლაგებულნი). არსებული გრუნტის წყლები ნაპრალოვანი ტიპისაა. გაზაფხულზე ამოღებულ ქვაბულში შესაძლებელია სპორადულად გაწყლოვანებული ფენების არსებობა.

საპროექტო უბანზე გრუნტის წყლები არ გამოვლენილა არცერთ გაყვანილ შურფში 5 მეტრ სიღრმემდე. ნაკვეთის ფარგლებში ქვაბულების ამოღების პროცესში შესაძლებელია უმნიშვნელო რაოდენობის გრუნტის წყლების გამოვლენა, ისიც ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების შემდგომ პერიოდებში.

ამრიგად, მომავალი საპროექტო ფართის ამგები ქანები ზედა ნაწილში პრაქტიკულად არ შეიცავენ მიწისქვეშა წყლებს და მიშენებისათვის რაიმე სახის ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენენ.

II. სპეციალური ნაწილი

II.1 5 სართულიანი სარდაფით შენობის დაფუძნების პირობები

ჩვენს მიერ №1 შურფის მეშვეობით განხორციელდა არსებული 5 სართულიანი სარდაფით შენობის გარე პერიმეტრის საძირკვლის გახსნა მის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან (იხ. კონსტრუქციულ-ლითოლოგიური ჭრილი I-I^{I} და ფოტოდოკუმენტაცია).

არსებული 5 სართულიანი სარდაფით შენობის საძირკველი ლენტური ტიპისაა. ის გადაბრუნებული საფეხურიანი T-სებრი ფორმისაა. მისი ჩაღრმავება (სიმაღლე) – მიწის ზედაპირიდან საძირკვლის ძირამდე - 2750 (მმ)-ია, ძირის სიგანე – 2600 (მმ), ზედა თაროს სიგანე – 600 (მმ), ქვედასი – 450 (მმ), ზედა საფეხურის სიმაღლე 450 (მმ), ქვედასი 200 (მმ) (იგულისხმება საძირკვლის ორივე მხარეზე!). სიმაღლეში (საძირკვლის ზედა თაროდან მიწის ზედაპირამდე) ის ამოყვანილია 500 (მმ) სიგანის და 2100 მმ სიმაღლის რკინაბეტონის მეშვეობით. მათი ფიზიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სარეკონსტრუქციო შენობა დაფუძნებულია ფენა №3-ის (ს.გ.ე. III) სასაძირკვლე ფუძე-გრუნტზე – სუსტად გამოფიტულ ძირითად კლდოვან ქანებზე – ქვიშაქვებზე (N_1^1cz). ფენის საანგარიშო ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები იხ. დასკვნებსა და რეკომენდაციებში.

II.2 საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და გამოყოფილი გრუნტების სახესხვაობები

სარეკონსტრუქციო უბნის დათვალიერების შედეგად საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების, არც მათ მიერ წარსულში ნამოქმედი სახეცვლილი რელიეფის ფორმების კვალი არ დაფიქსირდა. ტერიტორია მდგრადია და დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება. იგი თავისი გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართი 10-ის თანახმად სამშენებლო ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე შედგენილია შურფების სვეტები, კონსტრუქციულ-ლითოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, გამოკვლეულ ტერიტორიაზე გამოყოფილია გრუნტების 3 ფენა: ფენა №1 – ტექნოგენური გრუნტი (tQ_{IV}), ფენა №2 – გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანები – ქვიშაქვები (eN_1^1cz); ფენა №3 – სუსტად გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანები – ქვიშაქვები (N_1^1cz).

II.3 გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ფენა №1 – ტექნოგენური გრუნტი - ასფალტი, თიხნარი, ხრეში, ღორღი, ხვინჭა, სამშენებლო ნარჩენები; უწყლო (tQ_{IV}) – გავრცელებულია გამოკვლეული ტერიტორიის მთელ ფართზე ზედაპირიდან 1-ლ შრედ. მისი სიმძლავრე 1.5-1.9 (მ). ფენა გამოირჩევა ლითოლოგიური სიჭრელით, ჩანართების სიუხვით და კონსოლიდაციის საშუალო ხარისხით. ასეთი სახის ნიმუშებზე არათუ კომპრესიის და ძვრის, არამედ ფიზიკური თვისებების განსაზღვრის საგამოცდო რეალობები საკმაოდ რთულია და არაზუსტი. ფონდური მასალების მიხედვით სიმკვრივე ρ=1.80 გ/სმ^3-ის ფარგლებშია. ფენის გრუნტების პირობითი საანგარიშო წინაღობა (R_o) აღებულია პნ 02.01-08 დანართი 3-ის ცხრ. 5-ის მიხედვით და შეადგენს R_o-180 კპა (1.8 კგძ/სმ^2).

ფენა №2 - გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანი - ქვიშაქვები. შრეებრივი ტექსტურის, ძლიერ დისლოცირებული და ძლერ ნაპრალოვანი კარბონატულ ცემენტზე. უწყლო; დაქან. აზიმ. ჩა 20∠35 (**eN_1^1cz**) - გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე ფენა №1-ის (ტექნოგენური გრუნტი) ქვემოთ 1.5-1.9 მ სიღრმიდან. საველე მონიტორინგის თანახმად ისინი გამოფიტულია სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შედეგად. გამოფიტვის ხარისხიც არაერთგვაროვანია – ზოგიერთი მათგანი ხელითაც იფშვნება. კერნი ამოდის შესაბამისად სხვადასხვა სახით – ჩვეულებრივიდან ნატეხოვან სახესხვაობამდე. ფენა უწყლოა, სიმძლავრე 0.6-0.9 მ.

ამ ლითოლოგიური სახესხვაობის ქანებს ნაწილობრივ ცალკეულ ადგილებში და არა ყველგან შენარჩუნებული აქვთ გამოუფიტავი ქანებისთვის დამახასიათებელი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. მიუხედავად ამისა - ფენა №2 მთლიანობაში განეკუთვნება გამოფიტვის ქერქის ნატეხოვან ზონას, რაც აისახება კიდევაც მათ ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების პარამეტრებში.

გამომდინარე აქედან საველე პირობებში განისაზღვრა ფენის სიმკვრივე (ρ), რომელმაც შეადგინა 2.15 გ/სმ^3. ფენისთვის დეფორმაციის მოდული და საანგარიშო წინაღობა აღებულია

2.02.01-83-ის დამხმარე სახელმძღვანელოს ცხრ. 119-დან, რომლის მიხედვით E=30 მპა (300 კგძ/სმ^2); საანგარიშო წინაღობა R_o – 350 კპა (3.5 კგძ/სმ^2).

ფენა №3 - სუსტად გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანები - ქვიშაქვები. შრეებრივი ტექსტურის, ნაკლებად დისლოცირებული და ნაკლებად ნაპრალოვანი. ქვიშაქვა ღია ყავისფერი, წვრილმარცვლოვანი, კარბონატულ ცემენტზე, თხელ- და წვრილშრეებრივი, მკვრივი, საშუალო სიმტკიცის. უწყლო; დაქან. აზიმ. ჩა 20∠35 (**N_1^1cz**) - გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე ფენა №2-ის (გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანები - ქვიშაქვები) ქვემოთ 2.4-2.5 მ სიღრმიდან. საზღვარი მათ შორის ფიქსირდებოდა შურფის გაყვანის პროცესზე დაკვირვებით, კერნის ფიზიკური მდგომარეობის შესწავლით, ლაბორატორიული მონაცემების ანალიზით. ფენა უწყლოა, ხილული სიმძლავრე 2.5-2.6 მეტრი, რეალური – გაცილებით მეტი.

ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის ქვიშაქვის 2 ნიმუშით. ლაბორატორიაში მოხდა მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა, კლასიფიცირება (იხ. ძირითადი ქანების ლაბორატორიული კვლევის შედეგები).

ქვემოთ მოცემულია ძირითადი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მოკლე დახასიათება მიღებულ ლაბორატორიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

სახსტანდარტი 25100 ცხრ.№1 მიხედვით ქვიშაქვები მიეკუთვნება:

- კლდოვან გრუნტს, რადგან სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვისას Rკ წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მეტია 50 კგძ/სმ^2-ზე;
- საშუალო სიმტკიცის გრუნტებს, შვიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მესამე რეიტინგისაა;
- წყალში დარბილების ხარისხის მიხედვით კლდოვანი ქანები განეკუთვნება დარბილებად გრუნტს, რადგან მათი დარბილების კოეფიციენტი K_{saf}<0.75.

გრუნტის საშუალო სიმკვრივეა 2.39 გ/სმ^3 და განეკუთვნება მკვრივ გრუნტებს, ოთხრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმკვრივის შემცირების მიხედვით მეორე რეიტინგისაა.

№5 ცხრილში მოცემულია II ს.გ.ე. – ფენა №3-ის საანგარიშო-ნორმატიული ფიზიკურ-მექანიკური მნიშვნელობები.

ცხრილი №5

გრუნტის მახასიათებლები	ძირითადი ქანები	საანგარიშო მნიშვნელობა
წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მყოფი გრუნტის ზღვრული სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე Rკ (კგძ/სმ^2)	ქვიშაქვები	164
	მთლიანად ფენა №3-ისთვის	164
სიმკვრივე ρ (გ/სმ^3)	ქვიშაქვები	2.39
	მთლიანად ფენა №3-ისთვის	2.39

III. დასკვნები და რეკომენდაციები

1. სარეკონსტრუქციოდ (მიშენებისთვის) გამოყოფილი ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ: ქვედა მიოცენური (N_1^1cz) ასაკის ქვიშაქვებით წარმოდგენილი ძირითადი კლდოვანი ქანები, რომლებიც ზემოდან დაფარულნი არიან მეოთხეული ასაკის ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტით;
2. გამოკვლეულ ტერიტორიაზე გამოყოფილია გრუნტების 3 ფენა და 3 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.):
   - I ს.გ.ე. (ფენა №1) – ტექნოგენური გრუნტი (tQ_{IV});
   - II ს.გ.ე. (ფენა №2) - გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანები – ქვიშაქვები (eN_1^1cz);
   - III ს.გ.ე. (ფენა №3) - სუსტად გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანები – ქვიშაქვები (N_1^1cz);

   ქვემოთ ცხრილ №6-ში მოცემულია სამივე ს.გ.ე.-ის გრუნტების საანგარიშო ფიზიკურ-მექანიკური მნიშვნელობები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევებით, ს.ნ. და წ. 2.02.01.83-ის დამხმარე სახელმძღვანელოს №119 ცხრილის და პნ 02.01-08 დანართი 3-ის №5 ცხრილის მიხედვით.

ცხრილი №6

№ №	გრუნტის მახასიათებლები		საანგარიშო მნიშვნელობები		
			I ს.გ.ე. (ფენა №1)	II ს.გ.ე. (ფენა №2)	III ს.გ.ე. (ფენა №3)
1	სიმკვრივე ρ გ/სმ^3		1.80	2.15	2.39
2	შიგა ხახუნის კუთხე φ°		-	-	-
3	კუთრი შეჭიდულობა C კპა (კგძ/სმ^2)		-	-	-
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ^2)		-	300	-
5	საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ^2)		180(1.8)	350(3.5)	-
6	წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მყოფი გრუნტის ზღვრული სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე $R_კ$ (კგძ/სმ^2)		-	-	164
7	დრეკადობის მოდული ერთღერძა კუმშვაზე E მპა	ქვიშ.	-	-	3740
		არგ.	-	-	-
8	საგების კოეფიციენტი K (კგძ/სმ^3)		-	80	100
9	პუასონის კოეფიციენტი μ		-	0.23	0.20

3. ჩვენს მიერ №1 შურფის მეშვეობით განხორციელდა არსებული 5 სართულიანი სარდაფით შენობის გარე პერიმეტრის საძირკვლის გახსნა მის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან (იხ. კონსტრუქციულ-ლითოლოგიური ჭრილი I-I^I და ფოტოდოკუმენტაცია).

   არსებული 5 სართულიანი სარდაფით შენობის საძირკველი ლენტური ტიპისაა. ის გადაბრუნებული საფეხურიანი T-სებრი ფორმისაა. მისი ჩაღრმავება (სიმაღლე) – მიწის

ზედაპირიდან საძირკვლის ძირამდე - 2750 (მმ)-ია, ძირის სიგანე – 2600 (მმ), ზედა თაროს სიგანე – 600 (მმ), ქვედასი – 450 (მმ), ზედა საფეხურის სიმაღლე 450 (მმ), ქვედასი 200 (მმ) (იგულისხმება საძირკვლის ორივე მხარეზე!). სიმაღლეში (საძირკვლის ზედა თაროდან მიწის ზედაპირამდე) ის ამოყვანილია 500 (მმ) სიგანის და 2100 მმ სიმაღლის რკინაბეტონის მეშვეობით. მათი ფიზიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სარეკონსტრუქციო შენობა დაფუძნებულია ფენა №3-ის (ს.გ.ე. III) სასაძირკვლე ფუძე-გრუნტზე – სუსტად გამოფიტულ ძირითად კლდოვან ქანებზე – ქვიშაქვებზე (N_1^1cz). ფენის საანგარიშო ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები იხ. დასკვნებსა და რეკომენდაციებში.

4. არსებული გარემო პირობების, ამგები ქანების ლითოლოგიური სახესხვაობების ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების, ქანების წოლის ელემენტების და ფერდობის ექსპოზიციის გათვალისწინებით. დაფუძნება ყველაზე ოპტიმალური და საიმედოა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ სუსტად გამოფიტულ ძირითად კლდოვან ქანებზე (ს.გ.ე. III – ფენა №3), ამავდროულად ცალკეულ შემთხვევებში სრულიად დასაშვებია ამ მიზნებისთვის გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანების (II ს.გ.ე. – ფენა №2) გამოყენება. მიზანშეწონილია ამოღებული ქვაბულების ზედაპირები მოსწორდეს, დაიტკეპნოს შემდგომ კი მოშანდაკდეს 0.2-0.4 მ სიმძლავრის მდინარეული, შედარებით ერთგვაროვანი ინერტული ბალასტით, რომელიც ფენობრივად უნდა დაიტკეპნოს სპეციალური პორტატული ვიბროსატკეპნის მეშვეობით, ხოლო ზემოდან სისწორისთვის დაეყაროს 0.10 მ-მდე სიმძლავრის 20 მმ-იანი წვრილფრაქციული ხრეშის ფენა და ისიც დაიტკეპნოს. ამის შემდგომ ის საბოლოოდ უნდა მოსწორდეს 0.10 მ-მდე სისქის 100 მარკის (მჭრე) ბეტონის ფენით – ქვაბულის სისუფთავისათვის და არმატურების სწორედ დასაწყობად. გრუნტული და ბეტონის მომზადებების სიმძლავრეები და პროცედურა განისაზღვროს კონსტრუქტორის მიერ. ამ ფენას მზიდუნარიანობის დაბალანსების გარდა გააჩნია ასევე – ე.წ. სეისმური ბალიშის ფუნქციაც, რომელიც აუცილებელი ატრიბუტია 8 ბალიანი სეისმური ზონის პირობებში. სამშენებლო ქვაბულების მოწყობის პერიოდში აუცილებელია იმის გათვალისწინება რომ ძირითადი ქანები – ქვიშაქვები – სახეცვლილ გარემოში მოხვედრისას ხასიათდებიან ფიზიკური გამოფიტვა - დაშლის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით (აერობული პირობები, ინსოლაცია, ზედაპირული წყლები) ამიტომ საძირკვლის გაყვანა, მოქსოვილი არმატურის ჩასმა და დაბეტონება აუცილებლად უნდა მოხდეს ოპერატიულად, დროის უმცირეს მონაკვეთებში.

5. მიზანშეწონილი იქნება რეკონსტრუქციის პროცესშივე, ზედაპირული წყლების ასარიდებლად მიშენების პერიმეტრებზე მოეწყოს წყალსარინი სისტემები, განიერი დახრილი ტროტუარებით და ბოლოებზე წყალსაწრეტი „არხებით“, რომლებიც ორგანიზებულად შეკრებს და ტერიტორიიდან გაიყვანს არასასურველ ზედაპირულ წყლებს მოზღვავებული, ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების და თოვლდნობის პერიოდებში და არ მისცემს მათ საძირკვლებში და ნაგებობების პერიმეტრის გრუნტებში ჩადენის საშუალებას, რაც უპირველესი და უმთავრესი წინაპირობაა ასეთ ლანდშაფტურ გარემო პირობებში ნაგებობების უსაფრთხო, გრძელვადიანი პერიოდით ექსპლუტაციისა.
6. შესწავლილ ტერიტორიაზე და მის გარშემო გრუნტის წყლების ბუნებრივი გამოსავლები ზედაპირზე არ დაფიქსირებულა. ისინი არ გახსნილა არც გაყვანილი სამთო გამონამუშევრებით 5.0 მეტრ სიღრმემდე. სარეკონსტრუქციო მოედნის ფარგლებში ქვაბულის ამოღების პროცესში შესაძლებელია უმნიშვნელო რაოდენობის გრუნტის წყლების გამოვლენა, ისიც ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების შემდგომ პერიოდებში. ფონდური მონაცემებით მიწისქვეშა ნაპრალოვანი წყლები აქ მხოლოდ 10-12 და მეტი სიღრმეებიდანაა დაფიქსირებული. ამრიგად სამშენებლო მოედნის ამგები ქანები ზედა ნაწილში პრაქტიკულად არ შეიცავენ მიწისქვეშა წყლებს და მშენებლობისათვის რაიმე სახით ხელის შემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენენ.
7. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში, მის მომიჯნავედაც, მათი შესწავლის საფუძველზე თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების გამოვლენა, მათ მიერ დატოვებული ან საგრძნობლად შეცვლილი რელიეფის ფორმები არ დაფიქსირდა და არც მომავალშია მათი ჩასახვა-განვითარების წინაპირობა. ტერიტორია დღეისათვის გამოირჩევა მდგრადობის საკმაოდ მაღალი ხარისხით, განპირობებული როგორც რელიეფური ასევე მისი შემადგენელი გრუნტების ფიზიკური თვისებებით.
8. საძირკვლისათვის ამოღებული ქვაბულის შესამოწმებლად მიზანშეწონილია დაწესდეს ტექნიკური ზედამხედველობა ინჟინერ-გეოლოგის მონაწილეობით.
9. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებულ იქნას ს.ნ. და წ. 3.02.01-87 პპ 3.11, 3.12, 3.15 და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მოთხოვნათა მიხედვით.
10. ს.ნ. და წ. - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.-09)-ის მიხედვით უბანი მიეკუთვება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით – 0.17;

იმავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი №1-ის თანახმად, სეისმური თვისებების მიხედვით სამშენებლო ფართზე გავრცელებული გრუნტები უმეტესად მიეკუთვნებიან მე-II კატეგორიის გრუნტებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე სამშენებლო მოედნის საანგარიშო სეისმურობა მთლიანობაში განისაზღვროს 8 ბალით.

11. უბნის ამგები გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-2-82-ის ცხრ. №1-ის თანახმად მიეკუთვნებიან:

ფენა №1 – ტექნოგენური გრუნტი – ყველა სახის დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ. №24ა);

ფენა №2 - გამოფიტული ქვიშაქვები – ერთციცხვიანი ექსკავატორით – V ჯგუფს (გაფხვიერების შემდეგ), ხელით VI ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2200 კგ/მ^3 (რიგ.№ 28ბ);

ფენა №3 - სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები - ერთციცხვიანი ექსკავატორით – V ჯგუფს (გაფხვიერების შემდეგ), ხელით VII ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2300 კგ/მ^3 (რიგ.№ 28ვ).

ინდ. მეწარმე
ინჟინერ-გეოლოგი: /მ. კვარაცხელია/

IV. ფოტოდოკუმენტაცია ტექსტური დანართებით



სურათი №1. უბნის ორთოფოტო.



სურათი №2. ხედი სამხრეთ-დასავლეთით. წინა პლანზე მოჩანს სკოლა „ენ-ჯი“-ს 5-სართულიანი სარდაფით შენობის გვერდითი ხედი.



სურათი №3. ხედი სამხრეთ-დასავლეთით. წინა პლანზე სკოლა „ენ-ჯი“-ს 5-სართულიანი სარდაფით შენობის წინხედი, სადაც დაპროექტდება სახანძრო-საევაკუაციო კიბის ნაგებობა.



სურათი №4. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთით. №1 შურფიდან ამოღებული კერნის ფრაგმენტი.



სურათი №5. №1 შურფის ლითოლოგიური ჭრილი.



სურათი №6. არსებული 5-სართულიანი სარდაფის შენობის ,,კონსტრუქციულ-ლითოლოგიური ჭრილი‘‘.



სურათი №7. არსებული 5-სართულიანი შენობის ლენტური ტიპის საძირკვლის გეომეტრიული ზომების დაზუსტების პროცესი.



სურათი №8. წინა პლანზე მოჩანს ფენა №3-ის – ქვედა მიოცენური N_1^1(cz) ასაკის ძირითადი კლდოვანი ქანების – შრეებრივი ქვიშაქვების კერნის ფრაგმენტები. სწორედ ისინი შეადგენენ არსებული 5-სართულიანი სარდაფით შენობის ფუძე-გრუნტებს და გამოირჩევიან ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების კარგი პარამეტრებით.



სურათი №9. №1 შურფის გაყვანის პროცესი.



სურათი №10. უახლოესი მოდიფიკაციის გერმანული GSB, რომელსაც ძალუძს 7 მეტრი სიღრმის შურფის გაყვანა უმოკლეს დროში.



სურათი №11. №2 შურფის გაყვანის პროცესი.



სურათი №12. №2 შურფის გაყვანის პროცესი.

ტექსტური დანართები

ძირითადი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოცდების შედეგები

სსიპ გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტი.
საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის,
საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების ლაბორატორია.

სამუშაოს ანგარიში

შესრულებულია ქალაქ თბილისში, გლდანში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა N 20-ში, არსებულ მიწის ნაკვეთში, (ს/კ:01.11.12.017.107.), შპს „სკოლა ენ-ჯი“-ს, ხუთსართულიანი (სარდაფით) შენობისთვის, სახანძრო, საევაკუაციო, კიბის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, ამოღებული ქანის სინჯების, ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე.

სამუშაოს ხელმძღვანელი,
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
აკადემიური დოქტორი გიორგი ბალიაშვილი

06/05/24

თბილისი 2024 წ.

1. ანგარიში შეიცავს, ორი კლდოვანი გრუნტის, ლაბორატორიული კვლევის შედეგებს.
2. წარმოდგენილია 3 გვერდზე და შეიცავს 5 ცხრილს.
3. სინჯების წარმომავლობაზე ანგარიშის შემდგენელი პასუხს არ აგებს.

გამოყენებული სტანდარტი

1. ГОСТ 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები;
2. ГОСТ 21153,2-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ერთღერძა კუმშვაზე
3. ГОСТ 28985-91 ქანების დეფორმაციული მახასიათებლების კვლევა ერთღერძა კუმშვაზე;
4. ГОСТ 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია.

ანგარიში მომზადებულია სსიპ გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტის საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების და პროექტირების სამეცნიერო ცენტრის, საინჟინრო - გეოლოგიური კვლევების ლაბორატორიაში. ქანების-გრუნტების მექანიკის მიმართულებით 57 წლის და ბეტონების მიმართულებით 23 წლის სტაჟის მქონე, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, აკადემიური დოქტორის, გიორგი ბალიაშვილის მიერ. კვლევის შედეგებზე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას.ცხრილი 1- ქანის თვისებების საშუალო მნიშვნელობები

სინჯის №	ქანის სახეობა	მერფის №	სინჯის აღების სიღრმე, მ H	სიმტკიცე, კგძ/სმ²		დარბილების კოეფიციენტი K_s	დრეკადობის მოდული, წყალნაჯერ მდგომარეობაში, კგძ/სმ² E_w	სიმკვრივე, გ/სმ³ ρ
				მშრალ მდგომარეობაში R_{cd}	წყალნაჯერ მდგომარეობაში R_{cw}			
1	ქვიშაქვა	1	3.0	243.9	158.1	0.63	35677.9	2,39
2	ქვიშაქვა	1	3.5	268.2	170.2	0.63	39140.8	2,40

ცხრილი 2- ქანების კლასიფიკაცია ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიხედვით

სინჯის №	სიმტკიცის მიხედვით (წყალნაჯერი)	სიმკვრივის მიხედვით	დარბილების მიხედვით
1	კლდოვანი, საშუალო სიმტკიცის[1]	მკვრივი[2]	დარბილებადი
2	კლდოვანი, საშუალო სიმტკიცის[1]	მკვრივი[2]	დარბილებადი

შენიშვნა 2: *1– შვიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მესამე რეიტინგის; 2- ოთხრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმკვრივის შემცირების მიხედვით მეორე რეიტინგის.*

ცხრილი 3- სიმკვრივე ნიმუშების მიხედვით

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის						
	№	მასა, გ			მოცულობა, სმ³		სიმკვრივე, გ/სმ³
		ჰაერში	პარაფინით		პარაფინის	ნიმუშის	
			ჰაერში	წყალში			
1	1	40.15	45.39	24.38	4.14	16.87	2.38
	2	40.16	45.39	24.50	4.16	16.73	2.40
2	1	42.02	45.39	23.73	4.22	17.44	2.41
	2	42.03	45.39	23.56	4.24	17.59	2.39

ცხრილი 4- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე და დრეკადობის მოდული

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის									
	№	სიგრძე, სმ	სიგანე, სმ	სიმაღლე, სმ	ფართობი, სმ²	მასშტაბ. კოეფიციენტი	მრღვევი ძალა, კგძ	სიმტკიცე, კგძ/სმ²	დრეკადობის მოდული, კგძ/სმ²	მდგომარეობა გამოცდისას
1	1	4.23	4.24	4.25	17.94	0.80	5460	243.6		მშრალი
	2	4.24	4.24	4.26	17.98	0.80	5490	244.2		
	3	4.23	4.23	8.46	17.89	1.00	2825	158.0	35677.9	წყალნაჯერი
	4	4.24	4.23	4.25	17.94	0.80	3545	158.2		
2	1	4.20	4.21	4.22	17.68	0.80	5930	268.4		მშრალი
	2	4.21	4.20	4.22	17.68	0.80	5925	268.0		
	3	4.21	4.21	8.42	17.72	1.00	3015	170.0	39140.8	წყალნაჯერი
	4	4.22	4.21	4.23	17.77	0.80	3785	170.4		

ცხრილი 5-ნიმუშების გამოცდა დეფორმაციაზე

ნიმუში № 1.3			ნიმუში №.2.3		
F	I	II	F	I	II
0	0	0	0	0	0
230	2	2	250	2	3
460	4	3	500	4	5
690	6	5	750	7	7
920	9	9	1000	11	11
1150	12	12	1250	15	15
1380	15	15	1500	19	19
1610	18	18	1750	24	23
1840	21	21	2000	29	27
2070	24	21	2250	34	31
2300	28	28	2500	40	36
2530	33	32	2750	47	42
2760	39	38	3000	55	49
2825	48	47	3015	65	60

შენიშვნა 3: *F-ძალა, კგძ; I და II საათის ტიპის ინდიკატორის ჩვენება დანაყოფი (ერთი დანაყოფი=0,01მმ-ს).*

გრაფიკული დანართები

უბნის ტოპოგრაფიული გეგმა შურფების, კონსტრუქციულ-ლითოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების ხაზების განლაგებით 1:667 (ამობეჭდვის) მასშტაბში



შენის ტოპოგრაფიული გეგმა შურფების, კონსტრუქციულ-ლითოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების ხაზების განლაგებით

მასშტაბი: 1:667 (ამობეჭდვის)
1 სმ =6.67 (მ)



პირობითი აღნიშვნები

შურფი№1 5.0 — 1191.00 -

მარჯვნივ: მრიცხველში - შურფის ნომერი
მნიშვნელში - შურფის სიღრმე მ

მარცხნივ: მრიცხველში - აბსოლუტური ნიშნული მ
მნიშვნელში - გრუნტის წყლის დამყარების დონე მ

I — I საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილის ხაზი

შურფების სვეტები

ქ. თბილისში, გლდანში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა №20-ში (საკად. კოდი №01.11.12.017.107), შპს „სკოლა ენ-ჯი“-ს 5-სართულიანი სარდაფით შენობისთვის სახანძრო-საევაკუაციო კიბის პროექტირებისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

შურფი №1

დაწყება: 25.04.24 წ.

დამთავრება: 25.04.24 წ.

შურფის გაყვანა: ერთციცხვიანი ექსკავატორის მეშვეობით

აბსოლუტური ნიშნული 491.53 მ

▽ წყლის გამოვლენა - მ

▼ წყლის დამყარება - მ

წყლის სინჯი

მონოლითი

დაშლილი სტრუქტურა

ფენის №	გეოლოგიური ინდექსი	ფენის სგების სიღრმე მ	აბსოლუტური ნიშნული მ	ფენის სიმძლავრე მ	ლითოლოგიური ჭრილი	სიღრმის სკალა, მ	გრუნტის აღწერა	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ
1	tQ_{IV}	1.9	489.63	1.9		1	ტექნოგენური გრუნტი - ასფალტი, თიხნარი, ხრეში, ღორღი, ხვინჭა, სამშენებლო ნარჩენები; უწყლო	
2	eN_1^1cz	2.5	489.03	0.6		2	გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანი - ქვიშაქვები. შრეებრივი ტექსტურის, ძლიერ დისლოცირებული და ძლერ ნაპრალოვანი კარბონატულ ცემენტზე. უწყლო; დაქან. აზიმ. ჩა 20∠35	3.0 ქვიშაქვა
3	N_1^1cz	5.0	486.53	2.5		3 4 5	სუსტად გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანები - ქვიშაქვები. შრეებრივი ტექსტურის, ნაკლებად დისლოცირებული და ნაკლებად ნაპრალოვანი. ქვიშაქვა ღია ყავისფერი, წვრილმარცვლოვანი, კარბონატულ ცემენტზე, თხელ- და წვრილშრეებრივი, მკვრივი, საშუალო სიმტკიცის. უწყლო; დაქან. აზიმ. ჩა 20∠35	3.5 ქვიშაქვა

ქ. თბილისში, გლდანში, ფორე მოსულიშვილის ქუჩა №20-ში (საკად. კოდი №01.11.12.017.107), შპს „სკოლა ენ-ჯი“-ს 5-სართულიანი სარდაფით შენობისთვის სახანძრო-საევაკუაციო კიბის პროექტირებისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

შურფი №2

დაწყება: 25.04.24 წ.

დამთავრება: 25.04.24 წ.

შურფის გაყვანა: ერთციცხვიანი ექსკავატორის მეშვეობით

აბსოლუტური ნიშნული 491.57 მ

▽ წყლის გამოვლენა - მ

▼ წყლის დამყარება - მ

წყლის სინჯი

მონოლითი

დაშლილი სტრუქტურა

ფენის №	გეოლოგიური ინდექსი	ფენის სიმძლავრე მ	აბსოლუტური ნიშნული მ	ფენის სიმძლავრე მ	ლითოლოგიური ჭრილი	სიღრმის სკალა, მ	გრუნტის აღწერა	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ
1	tQ_{IV}	1.5	490.07	1.5		1	ტექნოგენური გრუნტი - ასფალტი, თიხნარი, ხრეში, ღორღი, ხვინჭა, სამშენებლო ნარჩენები; უწყლო	
2	eN_1^1cz	2.4	489.17	0.9		2	გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანი - ქვიშაქვები. შრეებრივი ტექსტურის, ძლიერ დისლოცირებული და ძლერ ნაპრალოვანი კარბონატულ ცემენტზე. უწყლო; დაქან. აზიმ. ჩა 20∠35	
3	N_1^1cz	5.0	486.57	2.6		3 4 5	სუსტად გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანები - ქვიშაქვები. შრეებრივი ტექსტურის, ნაკლებად დისლოცირებული და ნაკლებად ნაპრალოვანი. ქვიშაქვა ღია ყავისფერი, წვრილმარცვლოვანი, კარბონატულ ცემენტზე, თხელ- და წვრილშრეებრივი, მკვრივი, საშუალო სიმტკიცის. უწყლო; დაქან. აზიმ. ჩა 20∠35	

პირობითი აღნიშვნები კონსტრუქციულ-ლითოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილებისთვის

5-სართულიანი სარდაფით შენობის გარე პერიმეტრის საძირკვლის კონსტრუქციულ-ლითოლოგიური ჭრილი I-I^{I}

საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი II-II^{I}

პირობითი აღნიშვნები
კონსტრუქციულ-ლითოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილებისთვის

tQ_{IV}  ფენა №1 - ტექნოგენური გრუნტი - ასფალტი, თიხნარი, ხრეში, ღორღი, ხვინჭა, სამშენებლო ნარჩენები; უწყლო

eN_1^1cz  ფენა №2 - გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანი - ქვიშაქვები. შრეებრივი ტექსტურის, ძლიერ დისლოცირებული და ძლერ ნაპრალოვანი კარბონატულ ცემენტზე. უწყლო; დაქან. აზიმ. ჩა 20∠35

N_1^1cz  ფენა №3 - სუსტად გამოფიტული ძირითადი კლდოვანი ქანები - ქვიშაქვები. შრეებრივი ტექსტურის, ნაკლებად დისლოცირებული და ნაკლებად ნაპრალოვანი. ქვიშაქვა ღია ყავისფერი, წვრილმარცვლოვანი, კარბონატულ ცემენტზე, თხელ- და წვრილშრეებრივი, მკვრივი, საშუალო სიმტკიცის. უწყლო; დაქან. აზიმ. ჩა 20∠35

 - ბეტონის კედლის ბლოკები, სავარაუდოდ ღრუ ან კერამზიტის შუაშრით.

 - ლენტური ტიპის, რკინაბეტონის, ძირის სიგანით ℓ=2600 (მმ), სიმაღლით (ჩაღრმავებით მიწის ზედაპირიდან) h=2750 (მმ)

5-სართულიანი სარდაფით შენობის გარე პერიმეტრის საძირკვლის კონსტრუქციულ-ლითოლოგიური ჭრილი I-I^{I}

(სამხრეთ-დასავლეთი კედლის მართობულად)



ნახაზი	№1

საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი II-II^{I}

(შურფი №2 - შურფი №1)

მასშტაბი: ჰორიზ. 1:100
ვერტ. 1:100



შურფის №№	2	1
აბსოლუტური ნიშნული, მ	491.57	491.53
შურფის სიღრმე, მ	5.0	5.0
მანძილი შურფებს შორის, მ	15.3	

ნახაზი	№2

შპს სკოლა ენ-ჯი
ავტომატური ხანძარქრობის სისტემის სპეციფიკაცია

#	დასახელება		ერთეული	რაოდენობა
1	მილები			
1.1	შავი ფოლადის მილი	DN100, ERW, EN-10255, Standard	მეტრი	13
1.2	შავი ფოლადის მილი	DN80, ERW, EN-10255, Standard	მეტრი	25
1.3	შავი ფოლადის მილი	DN65, ERW, EN-10255, Standard	მეტრი	5
1.4	შავი ფოლადის მილი	DN50, ERW, EN-10255, Standard	მეტრი	8
2	მილების აქსესუარები და დამატებითი სამუშაოები			
2.1	ფოლადის მილის საკიდი	(sprinkler clamp)-DN100 UL Listed & FM approved	ცალი	7
2.2	ფოლადის მილის საკიდი	(sprinkler clamp)-DN80 UL Listed & FM approved	ცალი	13
2.3	ფოლადის მილის საკიდი	(sprinkler clamp)-DN65 UL Listed & FM approved	ცალი	3
2.4	ფოლადის მილის საკიდი	(sprinkler clamp)-DN50 UL Listed & FM approved	ცალი	4
2.5	ვიქტავლიკური, ხრახნიანი, შესადუღებელი ფიტინგები	(სამკაპი, მუხლი, გადამყვანი, მექანიკური გადაბმა), UL Listed & FM approved	კომპლ.	40% (მილების ფასის)
2.6	მილების დამუშავება სადებავით	ანტიკოროზიული საღებავით დამუშავება	მეტრი	51
2.7	მილის პირების დამუშავება	ე.წ ვიქტავლიკური ღარის/ხრახნის მოჭრა ფიტინგების მოსარგებად	მეტრი	51
3	სახანძრო კარადები, სახანძრო მისაერთებლები და ჰიდრანტი			
3.1	სახანძრო კარადა	კომპლექტაცია: ონკანი სტორზ 51მმ, სახელო L=30მ., ქანჩი, ლულა; Fire cabinet (valve, hose, coupling, nozzle) [DN50; Length =30 m]	კომპლ.	5
3.2	მოძრავი სახანძრო ტექნიკის მისაერთებელი DN100XDN65XDN65	Fire deparment connection DN100X65X65 storz type	ცალი	1
3.3	OS&Y Gate Valve	ცენტრალური ჩამკეტი ურდული DN80 OS&Y Gate valve	ცალი	1
3.4	უკუსარქველი	DN100 - 4" Check Valve (Grooved, Swing Type, 300psi, UL/FM)	ცალი	2

*შენიშვნა : მიწის და ბეტონის სამუშაოები პროექტში არ არის გათვალისწინებული.

შპს სკოლა ენ-ჯი
სახანძრო-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სპეციფიკაცია

#	დასახელება	სპეციფიკაცია	ერთეული	რაოდენობა
1	კაბელები			
1.1	სახანძრო კაბელი	JE-H(ST)H FE180 1*2*0.8+0.40mm სახანძრო კაბელი	მეტრი	1320
1.2	საკაბელო არხი	20X10mm, წვის შედეგად არ უნდა გამოყოფდეს ტოქსიკურ აირებს; EN 50085-შესაბამისი	მეტრი	792
2	სახანძრო სიგნალიზაცია			
2.1	სამისამართო მართვის პანელი	არანაკლებ 1 მარუჟით, პანელს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 4 ინჩიანი ეკრანი. მარყუჟზე არანაკლებ 100 მისამართის დაერთების საშუალებით და არანაკლებ 100 ზონის შექმნის საშუალება. უნდა შეეძლოს დეტექტორების რეგულირება მართვის პანელიდან არანაკლებ 4 რეჟიმზე დღე-ღამის მიხედვით. ნორმების შესაბამისობა - EN54-2, EN54-4 , EN54-21, EN 12094. პანელის ვიზუალურ-ტექსტური და მართვის ნაწილი (MENU) უნდა იყოს ქართულენოვანი.	ცალი	1
2.2	სამისამართო კვამლის დეტექტორი	ავტომატური დამისამართებით; სამუშაო ძაბვა ≤20...30≥ Vdc; მორიგე რეჟიმში მოხმარებული ელ.ენერგია არაუმეტეს 350 uA; განგაშის რეჟიმში დენის მოხმარება არაუმეტეს 10mA; კვამლის აღმოჩენის არანაკლებ 3 მგრძნობელობა. ინტეგრირებული იზოლატორი. ნორმების შესაბამისობა - EN-54-7; EN-54-17; ტემპერატურული რეჟიმი ≤-5ºC...+40ºC≥.	ცალი	64
2.3	სამისამართო კომბინირებული დეტექტორი	ავტომატური დამისამართებით; სამუშაო ძაბვა ≤20...30≥ Vdc; მორიგე რეჟიმში მოხმარებული ელ.ენერგია არაუმეტეს 350 uA; განგაშის რეჟიმში დენის მოხმარება არაუმეტეს 10mA; ინტეგრირებული იზოლატორი. ხანძრის აღმოჩენის არანაკლებ 5 რეჟიმი. დეტექტორის ლედ.ნათურის პანელიდან მართვის შესაძლებლობა. ნორმების შესაბამისობა - EN-54-7:2, EN-54-17, EN-54-5. დაბინძურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საშუალება. ტემპერატურული რეჟიმი ≤-5 ºC...+40 ºC≥.	ცალი	4
2.4	სამისამართო სამაგრი ძირი	უწყვეტობის გადასართველი ფირფიტით, უჟანგავი კონტაქტებით	ცალი	68
2.5	სამისამართო ხელის ღილაკი	სამისამართო. მრავალჯერადი გამოყენების, პლასტმასის გადატვირთვის გასაღებით; მორიგე რეჟიმში მოხმარებული ელ.ენერგია არაუმეტეს 140 uA; განგაშის რეჟიმში დენის მოხმარება არაუმეტეს 10mA; ნორმების შესაბამისობა - EN 54-11, EN 54-17.	ცალი	10
2.6	მანათობელი სამისამართო სირენა	თვითდამისამართებით კვებას უნდა იღებდეს მარყუჟიდან, ინტეგრირებული მოკლე ჩართვის იზოლატორით, ხმის არჩევადი ტონალობა არანაკლებ 13, ხმოვანი ტექსტური შეტყობინების ჩაწერით ქართულ და ინგლისური ენაზე საჭიროების შემთხვევაში არანაკლებ 6 ვერსიამდე, არაანაკლებ 97-დბ 1 მეტრზე, ნორმების შესაბამისობა - EN 54-17, EN 54-3, EN 54-23, EN6100-6.	ცალი	10
2.7	სამისამართო მოდული	სამისამართო შემსვლელ გამომსვლელი მოდული, სამუშაო ძაბვა ≤20...30≥ Vdc; ავტომატური დამისამართების შესაძლებელობით, მოხმარებული ენერგია ლოდინის რეჟიმში არაუმეტეს 80 uA, ჩაშენებული სარელეო გამოსასვლელი არანაკლებ 1A, არანაკლებ 1 შემსვლელი და გამომსვლელი კონტაქტი, EN 54-17, EN 54-18,	ცალი	1
2.8	აკუმულატორი	აკუმულატორი 12ვ-7ამპ	ცალი	2

შპს სკოლა ენ-ჯი
ევაკუაციის მართვის და ავარიული განათების სისტემის სპეციფიკაცია

#	დასახელება	სპეციფიკაცია	ერთეული	რაოდენობა
1	კაბელები			
1.1	დენის არააალებადი კაბელი	2X1.5 კაბელი, 100% სპილენძი, არა აალებადი. N2XH	მეტრი	880
2	ავარიული განათება			
2.1	ავარიული სანათი	სამუშაო ძაბვა 220ვ ; სიმძლავრე არანაკლებ 18 ვატი, ნათების ხანგრძლივობა არანაკლებ 1 საათი, ლედ ნათებით. ფოტობიოლოგიური რისკის გარეშე . ნათების ტემპერატურა არანაკლებ 6000K. სერტიფიცირება: EN60598	ცალი	64
2.2	ავარიული გასასვლელის მანიშნებელი (მიმართულება ქვევით/პირდაპირ ან მარჯვნივ, მარცხვნივ)	ავარიული გასასვლელის მანიშნებელი (მიმართულება ქვევით/პირდაპირ ან მარჯვნივ, მარცხნივ) სამუშაო ძაბვა 220-230 Vac არანაკლებ ხილვადობის მანძილი 20 მ. ნათების ხანგრძლივობა ავტონომიურ რეჟიმში არანაკლებ 2 საათი. დამაგრების შესაძლებლობა: ჭერი, დროშისებრი, კედელი, დაკიდული ჭერი. ნათების ტემპერატურა 6000K, ფოტობიოლოგიური რისკის გარეშე.	ცალი	18
2.3	ავარიული გასასვლელის მანიშნებელი (EXIT)	ავარიული გასასვლელის მანიშნებელი (EXIT) სამუშაო ძაბვა 220-230 Vac არანაკლებ ხილვადობის მანძილი 20 მ. ნათების ხანგრძლივობა ავტონომიურ რეჟიმში არანაკლებ 2 საათი. დამაგრების შესაძლებლობა: ჭერი, დროშისებრი, კედელი, დაკიდული ჭერი. ნათების ტემპერატურა 6000K, ფოტობიოლოგიური რისკის გარეშე.	ცალი	6